

დემოკრატია და ძლიერი სტატისტიკური სამსახური

ვირსალაძე ნაირა – ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დეპარტამენტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო

კუხიანიძე ნონა – ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დეპარტამენტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო

Democracy and Strong Statistical Service

Virsaladze Naira – Associate Professor, Department of Economics, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia

Kukhianidze Nona – Associate Professor, Department of Economics, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia

Abstract

Introduction and aim: Statistics, as the science of mass events and processes, provide the scientifically proven, accurate information for legislative, executive, economic institutions and the general public for socio-economic management of the country. In our country statistics are not evaluated appropriately. It does not benefit from the popularity and prestige. In Georgian society, the role, importance and possibilities of statistics are still weak in the state development. Based on its principles, statistics must be independent in the collection and processing of information, it should be characterized by the country's macroeconomic situation, it should become the opponent of the Ministry of Economic Development, to monitor its decisions and evaluate the efficiency of his policy. The article deals with the role and objectives of statistics and the main principles that should be based on the National Statistics Office in the process of producing and disseminating the official statistics.

Research methodology: As the statistics is reviewing events and processes in society with permanent variability and development, in a specific time and space, the article uses dialectical, statistical observation, economic-statistical analysis and etc. methods.

Results and implications: Official statistical information in Georgia is less reliable, well-groomed, tendentious and biased. The statistics office is still largely under the influence of state institutions, it is serving the interests of the ruling party and under political pressure.

Conclusion: Thus, if the fundamental principles adopted by law on statistics in Georgia will not remain on the paper and will become the most important guideline in the practice of Geostat, the National Statistics Office will be able to gain. At the same time it is important to change state dependence on statistics and financial support for it. The country with strong statistical service can be democratic and authoritative. But the country can not be democratic if it does not have a strong statistical service. N a trust mandate in society. At the same time it is important to change state dependence on statistics and financial support for it. The country with strong statistical service can be democratic and authoritative. But the country can not be democratic if it does not have a strong statistical service.

Keywords: official statistics, principles of statistics, role of statistics, Law on statistics.

აბსტრაქტი

შესავალი და მიზანი: სტატისტიკა, როგორც მასობრივი საზოგადოებრივი მოვლენებისა და პროცესების შემსწავლელი მეცნიერება მოწოდებულია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მართვისათვის მეცნიერულად დასაბუთებული, უტყუარი ინფორმაციით უზრუნველყოს საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სამეურნეო ინსტიტუტები და ფართო საზოგადოება. ჩვენს ქვეყანაში სტატისტიკას დღემდე სათანადოდ ვერ აფასებენ, იგი არ სარგებლობს სათანადო პოპულარობითა და პრესტიჟულობით. ქართულ საზოგადოებაში ჯერ კიდევ სუსტია სტატისტიკის როლი, მნიშვნელობა და შესაძლებლობები სახელმწიფოებრივ აღმშენებლობაში. მაშინ როდესაც, მისი პრინციპებიდან გამომდინარე, სტატისტიკა უნდა იყოს დამოუკიდებელი ინფორმაციის შეგროვებასა და დამუშავებაში, მან უნდა დაახასიათოს ქვეყნის მაკროეკონომიკური მდგომარეობა, მოწოდებულია იყოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ოპონენტი, მონიტორინგი გაუწიოს მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს და შეაფასოს მის მიერ გატარებული პოლიტიკის ეფექტიანობა. სტატიაში საუბარია სტატისტიკის როლსა და ამოცანებზე, და იმ ძირითად პრინციპებზე რომელსაც უნდა ეყრდნობოდეს სტატისტიკის ეროვნული სამსახური ოფიციალური სტატისტიკის წარმოების და გავრცელების პროცესში.

კვლევის მეთოდოლოგია: ვინაიდან სტატისტიკა საზოგადოებაში მომდინარე მოვლენებსა და პროცესებს განიხილავს არა უძრაობაში, არამედ მუდმივ ცვალებადობასა და განვითარებაში, კონკრეტულ დროსა და სივრცეში, სტატიაში გამოყენებულია დიალექტიკური, სტატისტიკური დაკვირვების, ეკონომიკურ-სტატისტიკური ანალიზის და სხვ. მეთოდები.

შედეგები და იმპლიკაციები: საქართველოში ჩვენის აზრით ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაცია ნაკლებ სანდო, შელამაზებული, ტენდენციური და მიკერძოებულია. სტატისტიკის სამსახური ჯერაც მნიშვნელოვანწილად სახელმწიფო ინსტიტუტების გავლენის ქვეშაა, მმართველი პარტიის ინტერესებს ემსახურება და პოლიტიკურ ზეწოლას განიცდის.

დასკვნა: ამრიგად, თუ საქართველოში სტატისტიკის კანონის მიხედვით მიღებული ფუნდამენტური პრინციპები მარტო ფურცელზე არ დარჩება და უმნიშვნელოვანეს სახელმძღვანელო პრინციპად იქცევა საქსტატის მუშაობის პრაქტიკაში, ამით სტატისტიკის ეროვნული სამსახური შეძლებს ნდობის მანდატის მოიპოვებას საზოგადოებაში.

ამასთან ერთად მნიშვნელოვანია სტატისტიკისადმი სახელმწიფოებრივი დამოკიდებულების შეცვლა და მისადმი ფინანსური მხარდაჭერა. ძლიერი სტატისტიკური სამსახურის მქონე ქვეყანა შეიძლება იყოს დემოკრატიულიც და ავტორიტეტულიც. მაგრამ ქვეყანა ვერ იქნება დემოკრატიული თუ მას ძლიერი სტატისტიკური სამსახური არ გააჩნია.

საკვანძო სიტყვები: ოფიციალური სტატისტიკა, სტატისტიკის პრინციპები, სტატისტიკის როლი, კანონი სტატისტიკის შესახებ, სახელმწიფო სტატისტიკა.

ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების გეგმიური განვითარების მოდელიდან საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლამ და ქვეყნის ევროპულ და საერთაშორისო ასპარეზზე ინტეგრირების პროცესმა ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა სტატისტიკა.

სტატისტიკა, როგორც მასობრივი საზოგადოებრივი მოვლენებისა და პროცესების შემსწავლელი მეცნიერება და სოციალური შემეცნების მძლავრი იარაღი მოწოდებულია ქვეყნის

სოციალურ-ეკონომიკური მართვისათვის მეცნიერულად დასაბუთებული, უტყუარი ინფორმაციით უზრუნველყოს საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სამეურნეო ინსტიტუტები და ფართო საზოგადოება.

ნებისმიერ ქვეყანაში სტატისტიკის სრულყოფილ ფუნქციონირებას განაპირობებს მისი რაციონალური ორგანიზაცია, სახელმწიფოს მიერ სტატისტიკის შესახებ მიღებული კანონით ხელმძღვანელობა. საქართველოში სტატისტიკის წარმოებასა და სტატისტიკური ინფორმაციის გავრცელებას ახდენს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი).

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური საქმიანობა ეფუძვნება ოფიციალური სტატისტიკის შემდეგ ძირითად პრინციპებს:

1. ა). **პროფესიული დამოუკიდებლობა** - სტატისტიკის წარმოება და მისი წარმოების შედეგად მიღებული ინფორმაციის გავრცელება უნდა განხორციელდეს პოლიტიკური ან/და დაინტერესებული ჯგუფების გავლენისაგან დამოუკიდებლად;

ბ). **ობიექტურობა** – სტატისტიკის წარმოება და მისი წარმოების შედეგად მიღებული ინფორმაციის გავრცელებისას დაცული უნდა იქნეს სისტემატურობა, საიმედოობა და მიუკერძოებლობა, რაც გულისხმობს სტატისტიკის წარმოებას პროფესიული და ეთიკური სტანდარტების საფუძველზე, აგრეთვე განხორციელებული პოლიტიკისა და პრაქტიკის გამჭირვალობას, ყველა მომხმარებლისათვის სტატისტიკური მონაცემების თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას;

გ). **სანდოობა** – სტატისტიკის წარმოება უნდა განხორციელდეს სწორად, ზუსტად და თანმიმდევრულად, რაც გულისხმობს სტატისტიკური სტანდარტების, მეთოდოლოგიისა და რესურსების შესარჩევად სამეცნიერო კრიტერიუმების გამოყენებას, აგრეთვე სტატისტიკის წარმოებისათვის გამოსაყენებელი მეთოდოლოგიის საჯაროობას;

დ). **სტატისტიკური მონაცემების კონფიდენციალურობა** – დაცული უნდა იქნეს დაკვირვების ერთეულთან დაკავშირებული კონფიდენციალური ინფორმაცია, რომელიც შეგროვდა სტატისტიკური მიზნით, ადმინისტრაციული თუ სხვა წყაროებიდან. აკრძალულია ამ ინფორმაციის არასტატისტიკური მიზნით გამოყენება ან მისი უკანონოდ გავრცელება;

ე). **ეფექტიანობა** – სტატისტიკის წარმოებისათვის საჭირო დანახარჯები უნდა იყოს შედეგის მნიშვნელობის და მიღებული სარგებლის პროპორციული.

2. სტატისტიკის წარმოება და მისი წარმოების შედეგად მიღებული ინფორმაციის გავრცელება უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებსა და გამოცდილებას.

აღნიშნული პრინციპებიდან გამომდინარე ოფიციალურ სტატისტიკას უმნიშვნელოვანესი როლი და ფუნქციები აკისრია საზოგადოებაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური პროცესების შეფასების, ეკონომიკაში არსებული ვიწრო ადგილების გამოვლენისა და მათი დაძლევის საქმეში. იგი იმანენტურადაა მოწოდებულია იყოს ობიექტური და თავად შეაფა-

სოს ამა თუ იმ მოვლენის პროგრესულობა და ეფექტურობა, სოციალურ-ეკონომიკური რეფორმის შედეგები.

ამდენად, სამოქალაქო საზოგადოებაში სტატისტიკა ფაქტობრივად სოციალური მენტორის როლს არულებს და სიმართლის ვერდიქტი გამოაქვს რაოდენობრივ გაზომვას დაქვემდებარებულ ნებისმიერ მოვლენასა თუ პროცესზე.

იმის მიხედვით თუ რა მდგომარეობაშია სახელმწიფო სტატისტიკა, რამდენად მნიშვნელოვანი როლი უკავია მას საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რამდენად სარგებლობენ და ითვალისწინებენ მის ინფორმაციას, შეძლება ვიმსჯელოთ მოცემული საზოგადოების დემოკრატიულობის, მისი გახსნილობისა და მიმდინარე რეფორმების წარმატებულობაზე.

ჩვენს ქვეყანაში სტატისტიკას დღემდე სათანადოდ არ აფასებენ, იგი არ სარგებლობს შესაბამისი პოპულარობითა და პრესტიჟულობით. სტატისტიკის სამსახური მნიშვნელოვანწილად სახელმწიფო ინსტიტუტების გავლენის ქვეშაა, მმართველი პარტიის ინტერესებს ემსახურება და პოლიტიკურ ზეწოლას განიცდის. შესაბამისად ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაცია ნაკლებ სანდო, შელამაზებული, ტენდენციური და მიკერძოებულია, რის გამოც ჯერ კიდევ სუსტია სტატისტიკის როლი, მნიშვნელობა და შესაძლებლობები სახელმწიფოებრივ აღმშენებლობაში. მაშინ როდესაც, კანონით სტატისტიკის შესახებ და მისი პრინციპებიდან გამომდინარე, სტატისტიკა უნდა იყოს დამოუკიდებელი ინფორმაციის შეგროვებასა და დამუშავებაში, მან უნდა დაახასიათოს ქვეყნის მაკროეკონომიკური მდგომარეობა, სოციალურ-ეკონომიკური ტენდენციები, ფულად საკრედიტო პოლიტიკა, ინფლაცია, უმუშევრობა... ერთი სიტყვით მოწოდებულია იყოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ოპონენტი, მონიტორინგი გაუწიოს მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს და შეაფასოს მის მიერ გატარებული პოლიტიკის ეფექტიანობა. ასეთი დამოკიდებულებით წარმოებული სტატისტიკა პოზიტიური შედეგის მომტანი იქნება სტატისტიკისთვის, ეკონომიკისთვის და, მთლიანად, ქართული სახელმწიფოსთვისაც.

თანამედროვე სტატისტიკას მძლავრი მეცნიერული მეთოდების გამოყენებით შეუძლია პასუხი გასცეს ყველა კითხვას, დააკმაყოფილოს საზოგადოების წევრთა ინტერესები იმავე დონეზე, როგორც ეს ხდება განვითარებულ საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში. სტატისტიკურ დაკვირვებასთან ერთად მას შეუძლია მოგვცეს საზოგადოებაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური მოვლენების მეცნიერული ანალიზი და დაადგინოს ამ მოვლენების განვითარების კანონზომიერებანი. ამისათვის კი საჭიროა ხელისუფლების პოლიტიკური ნება, სტატისტიკოსთა მაღალი პროფესიონალიზმი და სტატისტიკური სამსახურის ფინანსური უზრუნველყოფა.

ევროპული ორიენტაცია, რომლისკენაც ჩვენ მივისწრაფით, ითხოვს დამოუკიდებელ და ძლიერ სტატისტიკურ სამსახურს და მისადმი აქტიურ მხარდაჭერას. ჭეშმარიტად სამოქალაქო და დემოკრატიული საზოგადოება ინფორმაციული საზოგადოებაა. ინფორმაცია და ინფორმირებულობა კი მნიშვნელოვანწილად რეალურ სტატისტიკას უკავშირდება, სინამდვილეს თვალი სწორედ „ციფრული მზერით“ უნდა გავუსწოროთ.

სტატისტიკური გათვლები, საკმაოდ რთული, შრომატევადი ტექნოლოგიური პროცესია და კარგ პროფესიულ მომზადებას საჭიროებს. კარგი პროფესიონალები კი კარგ ანაზღაურებას იმსახურებენ. მე, როგორც სტატისტიკოსმა და, შესაბამისად, სტატისტიკის სამსახურის ქომაგმა შემთხვევით თვალი გადავაველე საქართველოს სტატისტიკის სამსახურის პერსონალს, მის დაფინანსებას და გაცემული დავრჩი. მაშინ როდესაც სტატისტიკოსები აფასებენ ქვეყანის ეკონომიკაში მიმდინარე მოვლენებს, დასაქმების დონეს, შრომის ანაზღაურების დინამიკას დაფინანსების მხრივ თავად არიან გერის როლში. სტატისტიკის სამსახური (საბჭოთა კავშირის პერიოდში სამისისტროს დონეზე განიხილებოდა) ისევე როგორც სხვა სამინისტრო, სახელმწიფოს ემსახურება. სტატისტიკოსებს სხვადასხვა სამინისტროების მუშაკების მსგავსად არანაკლები საქმე და პასუხისმგებლობა აკისრიათ. სტატისტიკის დაფინანსება და ხელფასები კი საკმაოდ მიზერულია და მნიშვნელოვნად ჩამორჩება მათი შრომის ანაზღაურებას. თუ ხელისუფლებას სურს თვალი გაუსწოროს რეალობას, ქონდეს ხარისხიანი და სანდო სტატისტიკური ინფორმაცია, სტატისტიკის სამსახურისადმი უნდა გამოხატოს სათანადო პატივისცემა და მხარდაჭერა. ჩვენი ქვეყანის სტატისტიკოსები არა მარტო დაფინანსებით ჩამორჩებიან ევროკავშირის კანდიდატ ქვეყნებს (აღარაფერს ვამბობთ ევროკავშირის წევრ ქვეყნებზე), არამედ სტატისტიკოსთა რაოდენობით ქვეყნის ყოველ 100 ათას მცხოვრებზე. დღეს საქართველოს სტატისტიკის სისტემაში თითქმის სამჯერ ნალკები თანამშრომელია, ვიდრე 15 წლის წინ იყო. მნიშვნელოვნად ჩამოვრჩებით სტატისტიკოსთა რაოდენობით ჩვენს მეზობელ ქვეყნებს.

ინფორმაციულ საზოგადოებაში სტატისტიკის დაფასების ხარისხით შეიძლება ისაუბრო არა მარტო ქვეყანაში დემოკრატიის ხარისხზე, არამედ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონეზეც. აშშ-ში, სადაც მნიშვნელოვან პროფესიათა შორის სტატისტიკას საკმაოდ პრესტიჟული მეექვსე ადგილი უჭირავს, აღრიცხვისადმი სერიოზული დამოკიდებულება, რეალური აღრიცხვა და მძლავრი ეკონომიკურ-სტატისტიკური ანალიზი გახდა ძლიერი ეკონომიკის საფუძველი, მისი დინამიური განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობა. ამერიკის სტატისტიკასთან შედარება, ერთის მხრივ, საშუალებას გვაძლევს დავინახოთ, თუ რამდენად წინ არიან ისინი მის ორგანიზაციასა და წარმოებაში, ხოლო მეორე მხრივ ერთგვაროვან მონაცემთა შედარებით დავადგინოთ ჩვენი ჩამორჩენის მასშტაბები და დავსახოთ გზები ამ ჩამორჩენის შესამცირებლად.

ამრიგად, თუ საქართველოში სტატისტიკის კანონის მიხედვით მიღებული ფუნდამენტური პრინციპები მარტო ფურცელზე არ დარჩება და უმნიშვნელოვანეს სახელმძღვანელო პრინციპად იქცევა საქსტატის მუშაობის პრაქტიკაში, ამით სტატისტიკის ეროვნული სამსახური შეძლებს ნდობის მანდატის მოიპოვებას საზოგადოებაში.

საზოგადოებრივი ნდობის აღდგენაში, მას ასევე დაეხმარება მრჩეველთა საბჭო (2015 წლიდან ფუნქციონირებს საქსტატთან), რომელიც მაღალი კვალიფიციური კადრებით არის დაკომპლექტებული და იძლევა სტატისტიკურ საქმიანობასთან დაკავშირებით კონსულ-

ტაციებს, ახდენს სტატისტიკურ საქმიანობაში გამოსაყენებელი თანამედროვე მეთოდების განხილვას და მის სრულყოფასთან დაკავშირებით შეიმუშავებს რეკომენდაციებს.

ამასთან ერთად, მნიშვნელოვანია სტატისტიკისადმი სახელმწიფოებრივი დამოკიდებულების შეცვლა და მისადმი ფინანსური მხარდაჭერა. ძლიერი სტატისტიკური სამსახურის მქონე ქვეყანა შეიძლება იყოს დემოკრატიულიც და ავტორიტეტულიც. მაგრამ ქვეყანა ვერ იქნება დემოკრატიული თუ მას ძლიერი სტატისტიკური სამსახური არ გააჩნია. სამოქალაქო საზოგადოება, ჭეშმარიტი დემოკრატია სრულყოფილი სტატისტიკის გარეშე წარმოუდგენელია და ვერც იაფი სტატისტიკით გავალთ ფონს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. არჩვაძე ი. ოფიციალურ სტატისტიკის საზოგადოებრივი როლისა და ფუნქციების გაძლიერების ზოგიერთი მიმართულების შესახებ. საერთაშორისო კონფერენცია „გლობალიზაცია და სტატისტიკა“, შრომების კრებული, თბ. 2014, გვ. 43.
2. არჩვაძე ი. როგორ ხალხს იმსახურებს ხელისუფლება? ტენდენციური სტატისტიკა, თუ იმედში დეპონირებული კეთილდღეობა, თბ, 2014, გვ. 252.
3. გაბიძაშვილი ბ. სტატისტიკის თეორია, თბ. 2005
4. ბაკურაძე ა. ვირსალაზე ნ. სტატისტიკის თეორია, ქუთაისი, 2014.
5. საქართველოს კანონი ოფიციალური სტატისტიკის შესახებ.
http://www.geostat.ge/cms/site_images/saqstatis_kanoni.pdf